



**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 12

ქ.ბათუმი

26/01/2018

12-06-4-201801261655



**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს პერსონალური
შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „ გენდერული თანასწორობის შესახებ „ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1¹ პუნქტის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №05 დადგენილებით დამტკიცებული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების მე -7 მუხლის მეორე პუნქტისა და საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გურანდა დოლიძის 2018 წლის 26 იანვრის №20-06 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო განისაზღვროს 16 წევრის შემადგენლობით.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო პერსონალური შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) გურანდა დოლიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) სულხან დუმბაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი- გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) მინდია დიასამიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტი კომისიის თავმჯდომარე - საბჭოს წევრი;

დ) იოსებ ბოლქვაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- საბჭოს წევრი;

ე) ვახტანგ ლორთქიფანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- საბჭოს წევრი;

ვ) მინდია დიდმანიძე- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარული და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- საბჭოს წევრი;

ზ) ჯემალ მუსხაჯბა - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „კონსერვატორების“ თავმჯდომარე -საბჭოს წევრი;

თ) დავით სამნიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე- საბჭოს წევრი;

ი) ლილა ცინცაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - საბჭოს წევრი;

კ) შორენა ცინცაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - საბჭოს წევრი;

ლ) ხათუნა დიასამიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - საბჭოს წევრი;

მ) თეიმურაზ დუმბაძე-ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე“ - საბჭოს წევრი;

ნ) ზაირა ჯიბლაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის საკითხებში მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საბჭოს წევრი;

ო) მაგდანა მალაყმაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის თანამემწე გენდერულ თანასწორობის საკითხებში- საბჭოს წევრი;

პ) სოფიო ბურჭულაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის საკითხებში - საბჭოს წევრი;

ჟ) ნარგიზ ციმნარიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის საკითხებში-საბჭოს წევრი;

3. ბრძანების ასლის გადაგზავნა მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრებზე უზრუნველყოს საკრებულოს მეორადი სტრუქტურულმა ერთეულმა საქმისწარმოების განყოფილებამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნადიმ ვარშანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე